

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #001/14¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ კარაკოზაშვილი (სტუდენტი)

1. შეკითხვა

ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ, კლიენტმა პოლიციის თანამშრომელს უჩივლა, დაკავების იზოლატორში ცემისა და სახის არეში სხვადასხვა დაზიანების მიყენებისთვის. კლიენტი მიუთითებდა, რომ ადვოკატმა ამ ყველაფრის შესახებ იცოდა, ადვოკატი უარყოფს აღნიშნულს და უარს ამოვს ჩვენების მიცემაზე სსსკ-ის 50.1 მუხლის თანახმად თუმცა, გამომძიებელმა აუხსნა, რომ თუ ჩვენებას არ მისცემს შესაძლებელია, მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს. ადვოკატს აინტერესებს, ჩვენების მიცემის შემთხვევაში, თუ ის იტყვის, რომ კლიენტს მისთვის არაფერი უთქვამს და არც სახეზე აღენიშნებოდა დაზიანება, ჩაითვლება თუ არა მისი ეს ქცევა ეთიკის კოდექსის დარღვევად?

2. ანალიზი

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებებზე, კონფიდენციალობის პრინციპზე და კლიენტის ინტერესების უპირატესობის ღირებულებაზე და განმარტა, რომ კლიენტმა ინიციატივა გამოიჩინა იმედით და რწმენით, რომ ადვოკატი დაადასტურებდა იმ გარემოებებს, რასაც იგი მიუთითებდა თავის საჩივარში. ადვოკატი კი, არ აპირებს მისცეს ჩვენება იმგვარად, როგორც ეს კლიენტს სურს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს არ შეესაბამება სიმართლეს, ცრუ ჩვენება კი არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება. კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დაუშვებელია, თუნდაც ეს კლიენტის ინტერესების დაცვისკენ იყოს მიმართული.

სსსკ 50.1 მუხლი უფლებას აძლევს ადვოკატს უარი თქვას ჩვენების მიცემაზე, ხოლო ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-7(1) „ბ“ ქვეპუნქტი და აპეკ-ის 4 (4) „ა“ მუხლი არ უკრძალავს მას ჩვენების მიცემას, თუმცა ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მის მიერ ჩვენების მიცემა შესაძლოა წარმოშვას კლიენტის პასუხისმგებლობა ცრუ დასმენაზე, რაც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს აპეკ-ის მე-5 მუხლის მოთხოვნასთან, რაც ადვოკატის მხრიდან კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედების ვალდებულებას ადგენს. თუმცა, ამავე დროს ადვოკატს ავალდებულებს კლიენტის ინტერესების დასაცავად იმოქმედოს კანონმდებლობის და პროფესიული ვალდებულებების შესაბამისად.

3. დასკვნა

ადვოკატის მიერ ჩვენების მიცემა და კლიენტის საწინააღმდეგო პოზიციის დაფიქსირება შესაძლებელია შეფასდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევად, კერძოდ კლიენტის ინტერესთა უპირატესობის პრინციპის დარღვევად. ამდენად, ვინაიდან კლიენტი ითხოვს ისეთი ინფორმაციის დადასტურებას, რაზეც ადვოკატს ინფორმაცია არ აქვს, უმჯობესია ადვოკატმა ისარგებლოს კანონით მინიჭებული უფებამოსილებით და უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე.

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c7fb9e34cd55.pdf/17%20March%202014%20001.14.pdf>